პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 დეკემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 238 (9399) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბავშვებს მშვიდობა სურთ

**16 სექტემბერს** ნიუ-იორკის ცენტრში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ გაიმართა გრანდიოზული ზეიმი, რომელიც მშვიდობის გადარბენის სტარტს მიეძღვნა. საკონტინენტთაშორისო გადარბენის მონაწილეებმა 86 დღის განმავლობაში ათობით ათასი კილომეტრი გაირბინეს, შემოიარეს ყველა კონტინენტის 45 ქვეყანა, და აი, გუშინწინ კვლავ ნიუიორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან დაბრუნდნენ.

დათ გაზეთ „ნეპშპორტის" კორესპონდენტს, უნგრელ კატალინ მორავის, კანადელ პეტი ენგლინს, ნიგერიელ სტუდენტს აბას მუჰამედს, ინდოელ ინჟინერს მილკხა სინგხს, ავტრიელ ბერნი ბარნუულს და ახალზელანდიელ დაინ რაიტს...

მაშინ, მოსკოვში, ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების დასასრულს, გადარბენის მონაწილეებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. გადარბენის ერთ-ერთმა მონაწილემ, ნიგერიელმა აბას მუჰამედმა კორესპონდენტებს უთხრა: „ჩვენი გზა




ამერიკელი დევიდ გერშონი ათი წელი ოცნებობდა ამ გადარბენის მოწყობაზე. მის ოცნებას ფრთები შეესხა, მაგრამ გადარბენის მონაწილეებს ყველგან ერთნაირად როდი ხვდებოდნენ. მათ ცუდად ახსენდებათ ლონდონი, ბარსელონა... მაგრამ უსიამოვნოდ მოსაგონარი თითო-ოროლა ქალაქია, უმრავლეს ადგილებში ისინი ხალხის უდიდეს მხარდაჭერას გრძნობდნენ.

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **ავთანდილ გურასაშვილმა** მოსკოვში, ოლიმპიურ სპორტკომპლექსში გადაიღო, აღბეჭდილია მშვიდობის გადარბენის მონაწილენი.

მშვიდობის ჩირაღდანი მიჰქონდათ გაზეთ

ჭეშმარიტად ტრიუმფური იყო. ჩვენ ყველანი ერთი დიდი, ინტერნაციონალური ოჯახის წევრები გავხდით".

„მიეცით პლანეტას მშვიდობა! — ბავშვებს მშვიდობა სურთ". აი, მშვიდობის გადარბენის მონაწილეთა დევიზი. ეს გადარბენა ხომ სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის ეგიდით ჩატარდა. გადარბენის მონაწილეთა მშვიდობის ჩირაღდანმა მილიონობით ადამიანი ჩააფიქრა, ათობით ათასი კი ამ გადარბენის მონაწილეებს შეუერთდა.

გადარბენა დამთავრდა, მაგრამ მშვიდობის ჩირაღდანმა ყველგან სინათლე და იმედი დატოვა.

## მინიფეხბურთი კვლავ გვიხმობს

თბილისის „ბურევესტნიკის" კომპლექსი და სპორტის სასახლე 17 დეკემბრამდე უმასპინძლებს უბნებს შორის რესპუბლიკურ პირველობას ფეხბურთში. შეჯიბრება „ბურევესტნიკის" კომპლექსში დღეს და ხვალ 11 საათზე, სპორტის სასახლეში კი დღეს 19, ხვალ კი 11 საათზე დაიწყება. ასპარეზობის ორგანიზატორები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი და რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო.

# ტურნირი დამთავრდა

**გუშინ** თბილისში შედგა საქართველოს საფეხბურთო პირველობის II ჯგუფის ზონებში გამარჯვებული გუნდების გადასასვლელი ტურნირის ბოლო მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ „მალაროელი" (ჭიათურა) — „ბახტრიონი" (ახმეტა). თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი" | 4 | 2 | 2 | 0 | 3-0 | 6 |
| „ბახტრიონი" | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 3 |
| „მალაროელი" | 4 | 0 | 3 | 1 | 4-6 | 3 |

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ხობის „კოლხეთისა" და ჭიათურის „მალაროელის" შეხვედრის მომენტი.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ექსპრეს-ინფორმაცია

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იყო სამბო. სხდომაზე ითქვა, რომ გუნდს მზადებაში სერიოზული პრობლემები არ გააჩნია.**

გუშინ „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში საზეიმოდ გაიხსნა სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიება — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მესამე სპარტაკიადა. პროგრამაშია მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და შაში.

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

**წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი**

# ევგენი გაგუა

**ოთახი** მის პატარა საგამოფენო დარბაზს მოგაგონებთ: კედლიდან შემოგყურებთ აინშტაინი ბრძნული და ცოტა ნაღვლიანი მზერით. იქვე ჩანს ფინიშთან მიახლოებული მარათონელის ფიგურა, აფრიკული მოტივები... აფრიკაში ორჯერ მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, იქ იგი ორ წელიწადს მუშაობდა, ოღონდ — სხვა სფეროში... მისმა ჰქედურმა ნაკეთობამ თვითნასწავლ მხატვართა საკავშირო გამოფენა-კონკურსზე დიპლომი დაიმსახურა...



ევგენი გაგუას (დიახ, მაია აზარაშვილის, ზურაბ მემარნიშვილის, ბესიკ გოცაძის მწვრთნელზე გესაუბრებით) შეუძლია სხვა „პორტრეტებიც" წარმოგიდგინოთ — თავისი გამოზრდილი და დაოსტატებული მძლეოსნებისა. ხელოვნება

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

**ფიზიკური** კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში მრავალწლიანი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კომენტატორი **კონსტანტინე ივანეს ძე მახარაძე** დაჯილდოვდეს სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო ნიშნით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის".

**საქართველოს** სპორტსახკომის კოლეგიის გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 60 წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული კომენტატორი **კონსტანტინე ივანეს ძე მახარაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელით და ოქროს მედლით.

# შაბათს და კვირას

▲ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის, თელავის სპორტულ ბაზებზე დღეს და ხვალ ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები. სილნაღის სპორტულ კომპლექსში, რომელიც ზამთარს გათბობის ახალი სისტემით შეეგება, გრძელდება მიღება გამაჯანსაღებელ საბონემენტო ჯგუფებში.

▲ **დღეს და ხვალ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო გაერთიანების სპორტულ დარბაზში გრძელდება საწარმოო კოლექტივებს შორის „მეგობრული თამაშების" პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. ავიამშენებლები თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლისა" და ქუთაისის ავტოქარხნის წარმომადგენლებს მასპინძლობენ.**

▲ დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკში გრძელდება ქალაქის უბნებისა და სოფლების შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ერთმანეთს ხვდებიან გლდანი — ძველი რუსთავი, სოფელი ხოვლე (კასპის რაიონი) — სოფელი სანიორე (თელავის რაიონი). ამ ღონისძიების თაოსანია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი და „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო. შეჯიბრება დაიწყება 12 საათზე.



# კიდევ ერთი ტრიუმფი

## საბჭოთა კავშირის თასი — ჯემალ მჭედლიშვილს

**კარგა** ხანია საქართველოს სამბისტებს საკავშირო თასი აღარ მოუპოვებიათ, თუმცა თავის დროზე ასეთი მიღწევები მათთვის უცხო არ იყო. 1975 წელს აკაკი ოქროპირიძემ და იოსებ მალალაშვილმა ყველას აჯობეს ქვეყნის თასის გათამაშებაში. 1981 წელს ნოდარ მალვენიშვილმა ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. და აი, ხუთწლიანი ინტერვალის შემდეგ ლვოვში გამართულ ასპარეზობაში გამარჯვება იზეიმა ჯემალ მჭედლიშვილმა. ქართველმა ფალავანმა შესანიშნავად ჩაატარა ყველა შეხვედრა და საპატიო ჯილდოს დაეუფლა.



ორი ტურიც და გაირკვევა, თუ ვინ დასაკუთრებს ჩვენი რესპუბლიკიდან მოჭადრაკე გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობების ორ-ორ საგზურს. თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე შესარჩევ ტურნირებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინიშის მოახლოებასთან ერთად ბრძოლა გამძაფრდა.

**ს უ რ ა თ ზ ე: მიმდინარეობს გოგონათა შეჯიბრება.**

# ირიბი პასუხისმგებლობა?

**ამონაწერი ცეკავშირის ტურისტულ-სამეურნეო კომპლექსის სამმართველოს — „კავკასიონის" განცხადებიდან, რომელიც გასულ ზამთარს პრესაში გამოქვეყნდა: „გუდაურში ფართოდ გაგიღებთ კარს კეთილმოწყობილი სასტუმრო „ბიდარა". სასტუმროს აქვს რესტორანი და კაფე. იქვე, ორ ნაბიჯზეა სასადილო, სპორტული საქონლისა და სუვენირების მაღაზია, გამქირავებელი პუნქტი. მუშაობს ორი ტიპის ოთხი საბაგირო გზა.**

**ახალბედებს დახმარებას გაუწევენ სათხილამურო სპორტის გამოცდილი ინსტრუქტორები".**

**წერილში, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სამწუხაროდ, იმაზე არ გვექნება საუბარი, თუ რა სიკეთე მოაქვს დამსვენებლებისთვის ზემოთ მოყვანილ განცხადებაში ჩამოთვლილ დაპირებებს. სარეკლამო განცხადებასა და საქმის ნამდვილ ვითარებას შორის დიდი ზღვარი ძევს. მოკლედ მოვჭრით: სურვილი გასაღებულია რეალობად.**

...გასულ კვირასაც უამრავი დამსვენებელი ეწვია გუდაურს. აქ ამოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკებიც, პასუხისმგებელი პირები — იმ სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც გუდაურის კომპლექსური განაშენიანება და ექსპლუატაცია ევალებათ.

ახლა, როცა ყველაფერი მთლიანობაში განიხილეს, პერსპექტივებთან ერთად უამრავი ნაკლიც წარმოჩნდა. ამ ხარვეზებს, პირველ ყოვლისა, იქ ასული დამსვენებელი გრძნობს და სამართლიან საყვედურსაც გამოთქვამს. როცა ეს გუდაურში გამართულ საგანგებო თათბირზე ითქვა, იქვე გაისმა პასუხი:

— გუდაური ჯერ მზად არ არის წაყენებული მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად!

რამდენად საფუძვლიანია ასეთი განცხადება? გუდაურში ხომ ჯერ კიდევ შარშან ზამთარში იწვევდნენ დამსვენებლებს და კომფორტსაც ჰპირდებოდნენ?

თათბირზე სამართლიანად დაისვა კითხვა: თუ ცალკეული ობიექტები მომზადებული არ იყო, რატომ დაიწყეს მათი ექსპლუატაცია?

მზად კი მართლაც ბევრი რამ არ იყო. იჩქარეს. ახლა, ყველაფერს რომ ვაანალიზებთ, უნებლიეთ გვახსენდება ბრძნული ნათქვამი: კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი ვერ დამალაო. გავიდა დრო და გამომზეურდა ის, რაც ლამაზი ფერებისა და წარმოდგენების მიღმა ასე მიჩქმალული იყო.

რა ამოძრავებდა იმ ხალხს, ვინც დაუმთავრებელ თუ კეთილმოუწყობელ ობიექტებს იბარებდა?

**ამონაწერი თათბირის ოქმიდან:** „ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთები მუშაობაში მიეჩვივნენ მოჩვენებითობას, არ ითვალისწინებენ საბოლოო შედეგს".

სხვა საკითხია, როცა ესა თუ ის ობიექტი ჯერ დასრულებული არ არის და საქმე ჭიანურდება, მომსახურება ფერხდება, მასობრივი გაჯანსაღების კერა სრული დატვირთვით არ მუშაობს, მაგრამ ხომ ლოგიკურია ვიკითხოთ: იმ ობიექტებზე როგორღაა საქმე, რომლებიც, სადაც წესი და რიგია, დღეს უკვე უზადოდ უნდა მუშაობდნენ? ხომ არ შეიძლება ამ კითხვას გვერდი ავუაროთ და დავიწყოთ მტკიცება, რომ ნორმალურად მაშინ მოემსახურებიან დამსვენებლებს, როცა ყველა საკითხი კომპლექსურად გადაწყდება და კურორტი დასრულებულ, სავსებით კეთილმოწყობილ ცენტრად იქცევა. ეს დრომოჭმული პოზიციაა, ამგვარი ფიქრისა და „დიპლომატიის" დრო ახლა აღარ არის.

სამწუხაროდ, თათბირზე ბევრი სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელთა გამოსვლებში გულისტკივილი და სინანული არ იგრძნობოდა. ძნელი არ იყო გამოცნობა, თუ რატომ. პირდაპირი პასუხისმგებლობა არავის ეკისრება და, რაკი ასეა, არც არავინ გრძნობს მას. ასე წარიმართა საქმე თავიდან, არაგონივრულად და უპრინციპოდ, მაგრამ, ცხადია, ასე აღარ გაგრძელდება, საქმეს მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და ეს თათბირიც ამის დასტური იყო.

თათბირზე ითქვა, რომ დამსვენებლებისადმი უყურადღებობა გამოიჩინეს ცეკავშირმა (კ. შავიშვილი), საქმთავარენერგომ (ი. ჭედია), სპეცტრანსის (შ. ორჯონიკიძე) და ნავთპროდუქტების (ზ. ლაბახუა) სახელმწიფო კომიტეტებმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ (ნ. ნეფედოვი) და კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ვ. კობახიძე). ობიექტების ექსპლუატაციას ისე იწყებდნენ, რომ გაყვანილი არ იყო სარეზერვო ელექტროხაზები, ელექტროკვება ერთ ხაზზე ჩაიბარეს (მეორე ხაზი დღემდე არ არის გაშვებული), ქვესადგური მომზადებული არ იყო საექსპლუატაციოდ და მაინც მიიღეს, არ იდგა სარეზერვო წყალსაქაჩი ტუმბოები (სამიდან მხოლოდ ერთი მუშაობს), მოსაწესრიგებელი იყო მისასვლელი გზები და ა.შ. სასტუმროები არ იყო კეთილმოწყობილი და მაინც დაიწყეს ხალხის მიღება.

არ იყო, არ არის... ეს სიტყვები ძალიან ხშირად გაისმოდა თათბირზე.

**ამონაწერი თათბირის ოქმიდან:** „საქმე იქამდეც მივიდა, რომ გაერთიანება „კავკასიონი", საპროექტო ორგანიზაცია, რომელიც განგაშს უნდა ტეხდეს, დუმს. ცალკეული სამსახურების მუშაობის ტექნოლოგიური ექსპერტიზაც არ ჩატარებულა. დენის გამორთვის შედეგად ახლახან საბაგირო გზა მთელი 40 წუთით გამოირთო. სარეზერვო სისტემა კი არ მუშაობდა".

ძნელია წარმოიდგინო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ობიექტი ჩაიბარეს, არ იგრძნობოდა არავითარი შეთანხმებულობა პარტნიორებთან.

შეიძლებოდა თუ არა სხვადასხვა ორგანიზაციის ურთიერთშეთანხმებით პრობლემების გადაჭრა? ცხადია, შეიძლებოდა. სამწუხაროდ, პარტნიორთა ძალების გაერთიანება, რაც საქმეს დიდად წაადგებოდა, არც გახსენებიათ.

**ამონაწერი თათბირის ოქმიდან:** „საჭიროა დაუყოვნებლივ მოგვარდეს სამსახურების ერთი ორგანიზაციის ხელში თავმოყრის საქმე. ეს აამაღლებს პასუხისმგებლობას და დააჩქარებს საკითხების გადაჭრას".

მაშ ასე, დღის წესრიგში დადგა „ირიბი" პასუხისმგებლობიდან პირდაპირ და პერსონალურ პასუხისმგებლობაზე გადასვლის, გუდაურის პრობლემების გადაჭრასა და ამ პროცესების მართვაში უწყებრივი ბარიერების ლიკვიდაციის, ხელმძღვანელობის კონცენტრაციის საკითხი.

ახლა ისევ იმ საკითხებს დავუბრუნდეთ, რომელთა მოგვარებაც დიდ პრობლემებთან არ არის დაკავშირებული და რომელთა მოუგვარებლობაც გულს ტკენს აქ ამოსულ დამსვენებელს.

ავიღოთ თუნდაც სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტის მუშაობა. რით იმართლებენ თავს საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელები, როცა მთელ გუდაურში ვერსად შეხვდებით მინერალურ წყალს, როცა სასადილოში ძველისძველი, დაობებული ნამცხვარი და ვადაგასული რძის ნაწარმი იყიდება, სასტუმრო „ბიდარას" ბუფეტში მაცივარიც არ მუშაობს, საზკვების ობიექტებს ჩაიც არა აქვთ მზად და მომხმარებელს 15 წუთს უხდება ლოდინი? აღარაფერს ვამბობთ საკვები პროდუქტებით და ხილეული წყლით დატარებით ვაჭრობაზე. თათბირზე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველაფერ ამას პასუხისმგებელი მუშაკები ან არ ხედავენ, ან არ სურთ დაინახონ; დიდ პრობლემებს ამოჰფარებიან და იქიდან ცდილობენ „მოიგერიონ" არცთუ „წვრილმანი" პრეტენზიები.

ჭეშმარიტებაა: სადაც ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას გრძნობს, იქ შესაძლებლობებსაც სრულად იყენებენ და რეზერვებსაც. სამწუხაროდ, გუდაურის ობიექტებზე არ იგრძნობა მეურნის ნამდვილი მზრუნველი დამოკიდებულება. ისე კი, როცა მოინდომეს, ბევრი რამ სასწრაფოდაც მოაგვარეს. დღეს ლაპარაკი უნდა იყოს არა მხოლოდ იმაზე, რომ სრულად გამოვიყენოთ შესაძლებლობები, არამედ იმაზე, თუ კიდევ რისი გაკეთება შეიძლება, რომ ადამიანებს უკეთ მოვემსახუროთ.

მთელ რიგ ობიექტებზე მომსახურე პერსონალი არ ჰყოფნით, გასაგებია, გუდაური დაშორებულია დასახლებულ პუნქტებს, მაგრამ სწორედ ასეთ პირობებში მართებთ მეტი მობილიზება. მეტი ყურადღებაა საჭირო დამსვენებლებისადმი. სოციალურ-კულტურული საკითხები მარტო ლამაზი ნაგებობებით არ მოგვარდება. ამისთვის პირველ ყოვლისა საქმისადმი სათანადო დამოკიდებულებაა საჭირო. ეს არის მთავარი.

**ამონაწერი თათბირის ოქმიდან:** „საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მომუშავე პერსონალი თავისთვის ვაჭრობს, მომხმარებელს სთავაზობენ იმას, რაც მათთვის უფრო სარფიანია".

გაურკვეველია სასტუმრო „ბიდარაში" დამსვენებლების მიღება-დაბინავებისა და მომსახურების პრინციპი. დამსვენებლებსა და სპორტსმენებს აქ თითქოს მხოლოდ საგზურებით და წინასწარი დაკვეთით იღებენ, მაგრამ ფაქტიურად არ არსებობს საგზურების რეალიზაციის სისტემა. ერთმანეთთან შეუთანხმებლად მუშაობენ ერთ უწყებაშიც კი. მხედველობაში გვაქვს ცეკავშირი და მისი ორგანიზაცია — „კავკასიონი". „ბიდარაში" მაშინაც კი, როცა შემოწმებას მოელოდნენ, წინადღით მიღებული რამდენიმე სტუმრის გვარი სარეგისტრაციო ჟურნალშიც არ იყო გატარებული.

გუდაურში ასული კაცი დაბინავებისა და კვების გარდა სხვა პრობლემებსაც აწყდება. დამსვენებლის დროს არავინ უფრთხილდება. შევეცდებით ეს უბრალო არითმეტიკით დავასაბუთოთ: აქეთ-იქით გზაში დამსვენებელს 4 საათი ეკარგება, ამას დაუმატეთ ჩაის დასალევად 15-20 წუთის ლოდინი. ხინკლის რიგში (სხვას კი იქ ვერაფერს იყიდი) ერთ საათზე მეტი იკარგება. დიდი დრო მიაქვს გამქირავებელ პუნქტთან რიგში დგომას და ინვენტარის გაფორმებას, ახლა საბაგირო გზამდე მისვლა და იქ ლოდინი? ზამთრის მოკლე დღე უცებ გაირბენს.

რა თქმა უნდა, შეიძლება საბაგირო გზის ბილეთები იქვე შესთავაზონ დამსვენებლებს, სადაც ინვენტარს აქირავებენ, გაიხსნას სპეციალური სალარო, ბოლოს და ბოლოს, აბონემენტები გაიყიდოს, მაგრამ არა, იქვე, საბაგირო გზის ვიწრო გასასვლელთან ყიდიან. როგორც ვთქვით, დამსვენებლის დროს არავინ უფრთხილდება.

ასეთი ფაქტი ბევრია. მათ ვერავითარ ახსნას ვერ მოუძებნის კაცი, სირთულეები ხელოვნურად იქმნება!

როგორც ხედავთ, ორ-სამი წლის წინათ დაშვებული შეცდომები ახლა სწორდება. აი სადამდე მიგვიყვანა მოჩვენებითობამ და თავის გამოჩენის ამბიციურმა სურვილმა.

**რედაქციისაგან: გუდაურში მდგომარეობა თანდათან სწორდება — გადაიდგა პირველი ნაბიჯები. რედაქციამ გადაწყვიტა სისტემატური ყურადღება დაუთმოს საერთოდ ზამთრის კურორტებს, იმ ადგილებს, სადაც ხალხი დასასვენებლად მიდის, სპორტსმენები კი ოსტატობის დონეს იმაღლებენ.**

---

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

# ევგენი გაგუა

(დასასრული)

მისთვის, რომ იტყვიან, ჰობია. პროფესიით და მოწოდებით იგი მწვრთნელია და 1954 წლიდან, როდესაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა, დღემდე ერთგულად ემსახურება ამ საქმეს. სპორტში ხელმძღვანელ პოსტებზეც ხშირად უმუშავია, რესპუბლიკისა თუ საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებსაც ედგა სათავეში, მაგრამ მუდამ, ნებისმიერ დროს, ჰყავდა თავისი „პირადი" მოწაფეები, წამზომით ხელში მუდამ იდგა სარბენი ბილიკის კიდესთან.

1958 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, ჩვენმა მძლეოსანთა ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. ასეთი წარმატება საკავშირო სარბიელზე ჩვენს მძლეოსნებს, არც მოსწავლეებს, არც მათ უფროს კოლეგებს მას შემდეგ აღარ მოუპოვებიათ. იმ გუნდში გამოჩნდნენ პირველად იური დიაჩკოვი, ლიუდმილა ივლევა, ანდრო ბედუკაძე და სხვა ცნობილი მძლეოსნები...

წინასწარ ვამბობთ, ამ წერილში კიდევ გვექნება საუბარი ევგენი გაგუას სხვა, მართლაც განსაკუთრებულ წარმატებებზე. ზოგმა იქნებ იფიქროს კიდეც, ქუდბედი დაჰყოლია ამ კაცსო. მხოლოდ მისმა ახლობლებმა, განსაკუთრებით კი მოწაფეებმა იციან, რად უღირდა მას ეს წარმატებები, ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, თუ როგორი ძალითა და მონდომებით იცავს ევგენი გაგუა თავისი ქვეყნის უძველეს ხელოვნებას, — წერდა შთაბეჭდილებათა წიგნში მისი ჭედური ნამუშევრების დათვალიერების შემდეგ ერთი იაპონელი დიპლომატი.

რა დასამალია, ცხადია, ბევრს არ მოსწონდა თავის სიმართლეში დარწმუნებული კაცის „სიჯიუტე", სხვადასხვა დროს ნაკრების ხელმძღვანელთანაც მქონდა შეხლა-შემოხლა, მაგრამ ყველა გრძნობდა რისთვის იბრძოდა მწვრთნელი, რომ მისი უპირველესი საზრუნავი სპორტსმენისათვის და გუნდისათვის ვარჯიშის სათანადო პირობების შექმნა იყო, ამისათვის იგი არაფერს არ დაერიდებოდა.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მძლეოსანთა წარმატებები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ საკავშირო სპორტკომიტეტში. 1964 წელს ქვეყნის იუნიორთა ნაკრებს, რომელიც პირველად ასპარეზობდა საზღვარგარეთ (პოლონეთში), ევგენი გაგუა ხელმძღვანელობდა. ევროპის იუნიორთა ჩემპიონატისთვის, რომელიც 1966 წელს, ოდესაში გაიმართა ევგენი გაგუამ 4X100 ამანათმორბენალთა გუნდი მოამზადა. გუნდში იყვნენ შემდგომში ბრწყინვალე სპრინტერი ვალერი ბორზოვი და გაგუას მოწაფე ევგენი კონდრატიევი.

ამ პერიოდში საქართველოს ნორჩი მძლეოსნები თანდათან ჩამორჩნენ — ჩვენი გუნდი ლენინგრადში მოსწავლეთა სპარტაკიადაზე XII ადგილზე დარჩა. ეს კატასტროფული მარცხი იყო. ევგენი გაგუა კვლავ დააბრუნეს რესპუბლიკის ნაკრებში უფროს მწვრთნელად. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა მოსწავლე მძლეოსნებმა კიდევ სამ სპარტაკიადაში მიიღეს მონაწილეობა: 1969 წელს ლენინაკანში IX ადგილი დაიკავეს, 1971 წელს ვორონეჟში — მერვე და ბოლოს 1972 წელს, კიევში — მესამე. ხუთი წლის განმავლობაში გუნდმა მეთერთმეტე ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა!.. რასაკვირველია, მძლეოსანთა მთელი ნაკრების წარმატება არ შეიძლება ერთ კაცს მიაწერო, მაგრამ, როგორც ვთქვით, გუნდის ხელმძღვანელს უნარი შესწევდა თვითონაც ემუშავა ნაყოფიერად, თავდაუზოგავად და სხვებიც აემუშავებინა.

1972 წლის შემდეგ ევგენი გაგუას მოსწავლეებთან აღარ უმუშავია, უკვე გრძნობდა, მისთვის სხვა დონე, ოსტატობის სხვა საზომი იყო საჭირო. საკუთარ შესაძლებლობათა მთლიანად შემოწმების საშუალებას კი მხოლოდ მოზრდილებთან მუშაობა, დიდი სპორტი მისცემდა. 1973 წელს ევგენი გაგუას და ანდრო ბედუკაძის მიერ მომზადებულმა საქართველოს კვარტეტმა დავით მელაძის, ბაგრატ მექვაბიშვილის, თეიმურაზ აჯოევისა და ვახტანგ კაკაურიძის შემადგენლობით ყველას აჯობა სოციალისტური ქვეყნების იუნიორ მძლეოსანთა შეჯიბრებაში („მეგობრობა") და უკან ჩამოიტოვა კუბელთა ოთხეული, რომელსაც ყველასთვის ცნობილი სპრინტერი სილვიო ლეონარდი ედგა სათავეში. შემდეგ ევგენი გაგუა უკვე მოზრდილ მძლეოსნებთან მუშაობით და მოზრდილთა შეჯიბრებებით იყო დაკავებული.

ორ წელიწადს საზღვარგარეთ იმუშავა მწვრთნელად. იქ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მისი ნამუშევრების ორი გამოფენა მოეწყო — შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი გულთბილი სიტყვა ჩაიწერა. ევგენი გაგუას ჭედური ნამუშევარი — მარათონელის ფიგურა — მოსკოვის I საერთაშორისო მარათონის ემბლემა გახდა.

აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ, რასაკვირველია, ჩვეული საქმე განაგრძო. ევგენი გაგუა სულსწრაფი კაცი არ არის. იგი დიდხანს, საფუძვლიანად ამზადებს ნიადაგს წარმატებისთვის და მიზნის მისაღწევად თავს არ ზოგავს, ოღონდ ეს წარმატება მართლაც მნიშვნელოვანი, მისი მიზნის შესაფერისი უნდა იყოს. ასე თანდათან, ნელ-ნელა ამზადებდა ბესიკ გოცირიძეს მაღალი შედეგებისთვის. 1983 წელს VIII საკავშირო სპარტაკიადაზე მისი მოწაფე საკმაოდ კარგად გამოვიდა 200 მეტრზე რბენაში და სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა—21.13. ერთი წლის შემდეგ მან გააუმჯობესა ლევან სანაძის მიერ 1952 წელს (!) დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი 100 მეტრზე რბენაში და 10,2 აჩვენა. მაია აზარაშვილი და ზურაბ მემარნიშვილიც სწორედ მაშინ გადავიდნენ ევგენი გაგუასთან სავარჯიშოდ. ორი წლის შემდეგ კი... ალბათ ყველამ იცის, რა შედეგებს მიაღწიეს მაიამ და ზურაბმა. წლეულს, IX საკავშირო სპარტაკიადაზე, ბევრჯერ თქმულს აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ ის კი მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წყვილი მართლაც ბრწყინვალედ იყო მომზადებული საასპარეზოდ; 100 და 200-მეტრიან დისტანციაზე ორივემ პირადი რეკორდი დაამყარა; ამ ოთხი რეკორდიდან სამი საქართველოს უმაღლესი მიღწევა იყო. ასეთი რამ დიდ შეჯიბრებებში იშვიათად ხდება. ახლა ამაზე ადვილია ლაპარაკი, მაგრამ რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა ამ ოთხეულს (დიახ, ოთხეულს, არ დაგავიწყდეთ, ბესიკ გოცირიძემ წლეულს საკავშირო თასი მოიგო 200 მეტრზე რბენაში) — ეჭვი, უნდობლობა, ტრავმები, ფსიქოლოგიური დაძაბულობა... ჯერ მარტო სპარტაკიადის პერიოდში მაიამ და ზურაბმა 5-5 კილოგრამი დაიკლეს წონაში, მათ არც მწვრთნელი „ჩამორჩა", განცდილმა მღელვარებამ მასაც ოთხიოდე დღეში დაატყო კვალი.

— არიან სპორტში ისეთი „დღეგრძელები", — ამბობს ევგენი გაგუა — წლობით ითვლებიან ნაკრების წევრად, წინსვლა, პროგრესი მათთვის უცხოა. ასეთ მოწაფეს ერთ დღეს არ გავიჩერებ. თუ მან შეწყვიტა ზრდა, მეც, როგორც მწვრთნელი, „ვჩერდები". ასეთ შემთხვევაში კი ჯობს გუდა-ნაბადი აიკრა და სპორტიდან წახვიდე. სპორტსმენი მანამდე უნდა დარჩეს სპორტში, სანამ წინსვლის შესაძლებლობა აქვს. მაიამ, ზურაბმა და ბესიკმა კარგ შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ მათ მეტი შეუძლიათ. მეტი შემიძლია მეც, როგორც სპეციალისტს. თუ ისინი გამომყვნენ, უკვე საერთაშორისო დონესაც მივაღწევთ. ამჟამად ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად მათგან მხოლოდ მაია ითვლება, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა: ბესიკსაც და ზურაბსაც შეუძლიათ გუნდში მოხვედრისთვის იბრძოლონ. რასაკვირველია, თუ თვითონვე ირწმუნეს ეს.

**● ეს ხომ თვით მწვრთნელზეც არის დამოკიდებული?**

— მწვრთნელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ, თუ მოწაფეს მიზანსწრაფვა აკლია, რამდენიც უნდა ეჩიჩინო, დიდ სიმაღლეს ვერასოდეს მიაღწევს. მთავარია, მაღალი მიზანი ჰქონდეს. მე კი ვასწავლი, რა უნდა გააკეთოს ამ მიზნის მისაღწევად და გავაკეთებინებ კიდეც. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, მოწაფეს სათანადო მონაცემები აქვს. ამას მწვრთნელი ერთ წელიწადში მიხვდება.

**● თქვენ მომთხოვნი მწვრთნელის სახელი გაქვს, როგორია თქვენი და თქვენი მოწაფეების დამოკიდებულება?**

— მწვრთნელმა თავისი ავტორიტეტით სპორტსმენი არ უნდა დაჩაგროს, ბრძანების გაცემა ადვილია... მე მოწაფეებს მათი ხასიათის გათვალისწინებით ვავარჯიშებ, ხასიათისა და არა კაპრიზების მიხედვით. სპორტსმენმა უნდა დაინახოს, რომ მწვრთნელი მთელ ძალასა და ენერგიას ახმარს საქმეს. მაშინ თვითონაც ისე იშრომებს, როგორც საჭიროა.

...ევგენი გაგუას მოწაფეებს ზარმაცობას მართლაც ვერ დასწამებ. ისინი კარგად ხედავენ, როგორ შრომობს მათი მწვრთნელი.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

შემოქმედებითი პორტრეტები

# ასეთი განსხვავებული როლები...



— ასე როგორ შეიძლება? — ვერიკო ანჯაფარიძის ხმაში საყვედური ისმის, — შენ ხომ ახლა კარენინი უნდა ითამაშო, გულცივი, ანგარიშიანი ადამიანი, შეხედე, დარბაზი უკვე სავსეა, შენ კი ჯერაც არ გაგნელებია ფეხბურთის შთაბეჭდილებები...

მაგრამ კოტე მახარაძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს რამდენიმე წამში შეუძლია გარდაისახოს. დიახ, ჯერჯერობით იგი მისთვის დამახასიათებელი არტისტიზმით უამბობს კოლეგებს მატჩის პერიპეტიებზე, უჩვენებს ეპიზოდს, რომელმაც თბილისის დინამოელებს ნანატრი გამარჯვება მოუპოვა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, ჩაიცმევს ფრაკს, დაიხურავს ცილინდრს და გარდაისახება. მისი კარენინი ისევე გულწრფელი, კოლორიტული და გულში ჩამწვდომია, როგორც მსახიობის მიერ თეატრში ორმოცი წლის მუშაობის მანძილზე შექმნილი ასივე როლი.

ასი როლი... მთელი სიცოცხლე სცენაზე: თავიდან რუსთაველის, ახლა კი — მარჯანიშვილის თეატრში. ეს როლები, რომლებიც კოტე მახარაძემ ოსტატურად და შთაგონებით შეასრულა დაამახსოვრდა მაყურებელს: ვალოდია ულიანოვი, იულიუს ფუჩიკი, ურიელ აკოსტა, ვასილ კიკვიძე, მატიუს კლაუზენი, კვაჭი კვაჭანტირაძე...

— სპორტულ ჟურნალისტიკას კი შემთხვევით ვეზიარე, — იხსენებს კოტე მახარაძე. — ოცდაათიოდე წლის წინათ „დინამოს“ სტადიონზე სახელდახელოდ შეკოწიწებულ მოედანზე თამაშობდნენ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელები. მე, ქორეოგრაფიული სტუდიის კურსდამთავრებულსა და სპორტის ოსტატობის კანდიდატს, პირველად მანდეს მიკროფონი. ეს იყო ჩემი პირველი როლი ეთერში. სამი წლის შემდეგ კი, ტაშკენტში ფეხბურთის მატჩის დროს შევცვალე ვადიმ სინიავსკი, რომელიც ავად გახდა. -და, რა თქმა უნდა, ძალზე ვღელავდი — გასაგებიც იყო: მე ხომ სახელგანთქმული კომენტატორის ნაცვლად უნდა მეამბნა მთელი ქვეყნისათვის ის, რაც მოედანზე ხდებოდა. მაგრამ დებიუტი, საბედნიეროდ იღბლიანი გამოდგა, და მივხვდი, რომ ამიერიდან ორი ბატონის — თეატრისა და სპორტის მსახური ვხდებოდი. ეროსი მანჯგალაძის შექებამ და ლოცვა-კურთხევამ დამარწმუნა ამაში.

მას შემდეგ კოტეს ბარიტონი ქართული აქცენტითა და მისთვის დამახასიათებელი ოდნავი ხრინწით, გაისმის რადიოსა და ტელევიზორში ფეხბურთის, კალათბურთის მატჩების, სხვა სპორტული შეჯიბრებების დროს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიური ასპარეზობა, ქვეყნის პირველობა... მახარაძე მოგვითხრობს მათ შესახებ ხალისიანად, ინტერესით, უქმნის მსმენელსა და ტელემაყურებელს ასპარეზობაზე ყოფნის, საინტერესო სპორტული ბრძოლის თანამონაწილეობის ეფექტს.

2,5 ათასი რეპორტაჟი... კომენტატორი კაბინაში, ზოგჯერ კი უბრალოდ სკამზე, მაყურებლის ან სათადარიგო მოთამაშეების გვერდით გატარებული თითქმის ხუთი ათასი საათია. ამ შემთხვევაში არ არსებობს შეღავათი არც დაღლილობის, არც სიცხის ან სიცივის გამო: საჭიროა არა მარტო პროფესიულად გადასცე მსმენელს ნანახი, არამედ თვალყური ადევნო კიდეც მონიტორებს, მოძრავ სტრიქონს, რომელზედაც აღნიშნულია სხვა სპორტულ მოვლენათა ინფორმაციები, ყური მიუგდო ტელერეჟისორის ხმას ყურსაცვამში.

— და ამ დროს ღმერთმა დაგვიფაროს შეცდომისაგან: სპორტის მცოდნეები ამას არ გაპატიებენ, — თქვა კოტე მახარაძემ. — ისინი ყველა საქმეს გადადებენ, და მატჩის დამთავრების შემდეგვე აიღებენ ხელში კალამს, ან ტელეფონის ყურმილს...

. მაინც რა დაახსომდა მას ყველაზე მეტად ამ წლების მანძილზე? კოტე მახარაძე მაშინვე უპასუხებს: თბილისის დინამოელების ბრწყინვალე გამარჯვება 1964 წელს, როცა მათ პირველად მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში, და 1981 წელი, რომელმაც ჩვენს დინამოელებს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულის ტიტული მოუტანა. და, რა თქმა უნდა, „გურიის“ შესვლა უძლიერესთა ელიტაში. ძალიან მინდა ვუამბო მსმენელებს უმაღლეს ლიგაში მისი პირველი თამაშის შესახებ. მე ხომ გურული ვარ!

...მას სამოცი წელი შეუსრულდა. მაგრამ როგორც ახალგაზრდობის წლებში, იგი ენერგიითა და შემოქმედებითი ჩანაფიქრით აღსავსეა: წერს წიგნს „ორი ბატონის მსახური“, რომელსაც გამომცემლობა „ხელოვნება“ გაისად გამოუშვებს, აპირებს მოაწყოს პრემიერა „ერთი მსახიობის ლიტერატურულ თეატრში“, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

კოტე მახარაძეს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არ შეუსრულებია საუკეთესო როლი და ეთერში არ გასულა საუკეთესო რეპორტაჟით. ნუ შევედავებით მსახიობს!

გ. დიორტკინი.
(საქინფორმის კორ.).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## თბილისის „დინამო“ VII ადგილზეა

**სამი მოგება, ერთი ფრე და ერთი წაგება — ამ შედეგით დაამთავრა თბილისის „დინამომ“ წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრები.**

**ხარკოვი.** „ლოკომოტივის“ საცურაო აუზში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები გუნდებისათვის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძოდნენ. ამ ეტაპის შეხვედრებს უნდა გამოევლინა ის კოლექტივი, რომელიც უმაღლეს ლიგას, სულ ცოტა, ერთი წლით მაინც დატოვებდა. თუმცა სავარაუდო და სამარჩიელო აქ ბევრი არაფერი იყო. მოსკოვის „ტორპედო“ თავისი ორადორი ქულით დასკვნითი ტურის დაწყებამდეც განწირული ჩანდა. ავტოქარხნელებმა მდგომარეობა ვერც ბოლო შეხვედრებში გამოასწორეს, ზედიზედ ექვსი შეხვედრა წააგეს და თავიანთი ადგილი უმაღლეს ლიგაში სევასტოპოლის მეზღვაურებს დაუთმეს.

ასეთ მშვიდ სატურნირო სიტუაციაში გუნდების უმრავლესობამ, სავსებით ბუნებრივად, ახალგაზრდა წყალბურთელები გამოსცადა. და უნდა ითქვას მათ მწვრთნელთა იმედები გაამართლეს. გამოვლინდა ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული წყალბურთელი. მომავალ სეზონში ისინი ვეტერანთა ადგილებს უფრო თამამად დაიკავებენ.

თბილისის დინამოელებმა ახალგაზრდული შემადგენლობით ამ ტურში სამი შეხვედრა მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ ერთი წააგეს.

გთავაზობთ ბოლო კალენდარული დღის შეხვედრათა შედეგებს: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 7:6 (4:0, 1:3, 1:1, 1:2), „ბალტიკა“ — კქფ 1:1, „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ 4:3.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (თბ.) | 27 | 9 | 7 | 11 | 25 |
| „ლოკ.“ (ხარკ.) | 27 | 9 | 5 | 13 | 23 |
| კქფ (ბაქო) | 27 | 6 | 9 | 12 | 21 |
| „ბალტიკა“ (ლენ.) | 27 | 8 | 5 | 14 | 21 |
| „დინ.“ (კიევი) | 27 | 8 | 3 | 16 | 19 |
| „ტორპ.“ (მოსკ.) | 27 | 0 | 2 | 25 | 2 |

ევროპის საკლუბო ტურნირები

## „სპარტაკი“ გამოეთიშა გათამაშებას

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა უეფა-ს თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩები ფეხბურთში, მოსკოვის „სპარტაკმა“ ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ითამაშა ადგილობრივ „სვაროვსკი-ტიროლთან“, დამარცხდა ანგარიშით 0:2 და გამოეთიშა გათამაშებას.

სპარტაკელთა მარცხი მოულოდნელი იყო, ვინაიდან მათი მეტოქე არ მიეკუთვნება ევროპის საფეხბურთო ელიტას. დაახლოებით 70-ე წუთამდე თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, „სპარტაკს“ პირველი მატჩი შინ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 1:0 და ამიტომ ფრე მას სავსებით აძლევდა ხელს. გუნდი, თითქოს, ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ ტრავმა მიიღო წამყვანმა მოთამაშემ რუდაკოვმა, მის ნაცვლად გამოვიდა კაპუსტინი და სპარტაკელთა თამაშშიც თავი იჩინა შეუთანხმებლობამ.

მატჩის დამთავრების შემდეგ „სვაროვსკი-ტიროლის“ მწვრთნელმა ფელიქს ლატცკემ განაცხადა, რომ მისი გუნდისთვის ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებაა ესოდენ ძლიერ მეტოქეზე. თამაშს ესწრებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელი ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც აღნიშნა ბრძოლის სიმწვავე და ავსტრიელ ფეხბურთელთა თავგამოდება.

სპარტაკელთა ამ თამაშზე საგრძნობი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ ავადმყოფობის გამო მინდორზე ვერ გამოვიდნენ წამყვანი ფეხბურთელები ჩერენკოვი და მოროზოვი, საფრანგეთის „ტულუზასთან“ ჩადენილი უხეშობის გამო 4 თამაშით დისკვალიფიკაცია აქვს ხიდიატულინს, მაგრამ გუნდის საბრძოლო ფორმაზე იმანაც იმოქმედა, რომ მატჩისწინა სამზადისი სპარტაკელებმა იტალიაში ჩაატარეს იქაურ ერთობ საშუალო კლასის გუნდებთან, ბევრი იმოგზაურეს და, საერთოდ, სუსტად, უნებისყოფოდ ითამაშეს.

მოგვყავს უეფა-ს თასის მერვედფინალის შეხვედრათა შედეგები (ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც მეოთხედფინალში მიიღებენ მონაწილეობას, ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა შედეგები).

**„სვაროვსკი-ტიროლი“** (ინსბრუკი, ავსტრია) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) 2:0 (0:1).

**„ბარსელონა“ (ესპანეთი)** — „ბაიერი“ (იურდინგენი, გფრ) 2:0 (2:0).

**„გიმარაეში“ (პორტუგალია)** — „გრონინგენი“ (ჰოლანდია) 3:0 (0:1).

**„გიოტებორგი“ (შვეცია)** — „გენტი“ (ბელგია) 4:0 (1:0).

„ბევერენი“ (ბელგია) — **„ტორინო“ (იტალია)** 0:1 (1:2).

**„ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ)** — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 0:0 (1:1).

„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — **„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია)** 0:0 (0:2).

უამინდობის გამო არ უთამაშიათ იტალიის „ინტერს“ და ჩეხოსლოვაკიის „დუკლას“. პირველი მატჩი მეტოქის მინდორზე მოიგეს იტალიელებმა — 1:0.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კიოლნში 24 იანვარს შედგება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის გათამაშებათა მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა. საბჭოთა კლუბები „დინამო (კიევი) და „ტორპედო“ (მოსკოვი) ბრძოლას განაგრძობენ ჩემპიონთა თასზე და თასების მფლობელთა თასზე.

ფეხბურთი

## ევროპის ჩემპიონატი

**ლა-ვალეტა.** აქ შედგა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი მალტისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს იტალიელებმა, ბურთები პირველ ტაიმში გაიტანეს ფერიმ და ალტობელიმ.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 5 |
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

ფეხბურთი

## „ლოკომოტივი“—„შევარდენი“-სპი

**საქართველოს** საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების თანახმად ყოველწლიურად იმართება მატჩი საქართველოს ჩემპიონსა და იმ გუნდს შორის, რომელიც II ლიგის საკავშირო შეჯიბრებაში უარეს ადგილზე გავა რესპუბლიკის გუნდებს შორის.

წლეულს II ლიგაში რესპუბლიკის გუნდებიდან ყველაზე უარესი შედეგი აქვს თბილისის „ლოკომოტივს“, საქართველოს ჩემპიონის წოდება კი მოიპოვა თბილისის „შევარდენი“-სპი-ს კოლექტივმა.

ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე, გამარჯვებული გაისად იასპარეზებს II ლიგაში.

მატჩის დასაწყისი 14 საათზე.

## „პენიაროლი“ ჩემპიონატს გამოეთიშა

ურუგვაის გაზეთებმა სენსაციური ცნობა გამოაქვეყნეს: მონტევიდეოს პოპულარული კლუბი „პენიაროლი“, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში 14 ტურის შემდეგ 18 ქულით მეორე ადგილზე იყო, დარჩენილ თამაშებს აღარ ჩაატარებს. რაშია საქმე? „პენიაროლის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კლუბმა, რომელსაც ორი მილიონი დოლარი ვალი აქვს, დახმარებისათვის არაერთხელ მიმართა ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას და რამდენიმე ბანკს, მაგრამ უშედეგოდ.

„პენიაროლმა“, რომელიც ოთხჯერ იყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი („კოპა ლიბერტადორესის“ თასის მფლობელი), ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი დაისაკუთრა, მაგრამ ახლა მას დახმარება სჭირდება.

## ევროპის ტურნირების ცხარე დღეები

გრძელდება ევროპის თასების კალენდარული მატჩები კალათბურთში.

**ზადარი** (იუგოსლავია). კაუნასის „ჟალგირისმა“ აქ მორიგი შეხვედრა გამართა ადგილობრივ „ზადართან“. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 82:78 (48:31). ლიტველთაგან ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები საბონისი (29 ქულა) და კურტინაიტისი (25) იყვნენ. „ზადარში“ თავი გამოიჩინა იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების წევრმა მატულოვიჩმა — 22 ქულა. შეგახსენებთ, რომ ფინალისტთა ექვსეულის პირველი მატჩი „ჟალგირისმა“ შინ მადრიდის „რეალს“ მოუგო — 91:83.

**მოსკოვი.** ამავე რანგის ქალთა ტურნირში ნოვოსიბირსკის „დინამომ“ იტალიის „პრიმიჯის“ უმასპინძლა, კლუბს, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასს ორჯერ ფლობდა. „პრიმიჯის“ შემადგენლობაში ორი ამერიკელი კალათბურთელი ედვარდსი (იგი ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გახლდათ) და ლოურენსი გამოდიოდა. ბრძოლის ბედი სწორედ ამ დუეტმა გადაწყვიტა. იტალიელებმა გაიმარჯვეს 79:78 (43:54).

ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ: ლოურენსი — 32 ქულა და ლეონოვა — 19.

**რიგა.** აქ, ლილიან რონკეტის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივმა ტტტ-მ სოფიის კლუბი „კრემიკოვეცი“ დიდი ანგარიშით — 91:55 (47:29) დაამარცხა.

### გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

# სამი და... სამი

**რუმინელებთან** მატჩში, მეორე ტაიმში, მწვრთნელმა გიორგი ბერიაშვილმა ჩვენი კარის დაცვა ირაკლი კენჭაძეს ანდო. მართალია, გამოუცდელმა მოთამაშემ რამდენიმე ბურთი გაუშვა, მაგრამ ძნელი დარტყმებიც მოიგერია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი თამაზ ქოქოსაძესთან ერთად კარგი გოლკიპერი გახდება.

...ისე, როგორც პოლონელებთან სასტარტო შეხვედრაში, ჩვენი ხელბურთელები დემეტრაშვილის, ბულიას, ტაბიძის, აბესაძის, სივოპლიასოვის ზუსტი ტყორცნების შემდეგ, რუმინელებთან მატჩშიც დაწინაურდნენ — 1:0, 5:2, 7:4, მაგრამ მე-15 წუთისათვის ანგარიში გათანაბრდა (9:9). სტუმრებმა ზედიზედ აიღეს ჩვენი კარი და, მიუხედავად იმისა, რომ შესვენებამდე წუთნახევრით ადრე ელექტროტაბლოზე კვლავ საყაიმო ციფრები ენთო (15:15), ტაიმი მაინც მოიგეს — 17:15. თამაშის მეორე ნახევარში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა (ერთი-ორი ქულით წინ რუმინელები იყვნენ). მერე მასპინძელთა მოქმედებაში თავი იჩინა „ქრონიკულმა სენმა“ — დალლილობამ. საბოლოოდ ჩვენი გუნდი 6 ბურთის სხვაობით დამარცხდა — 26:32. ბომბარდირთაგან თავი გამოიჩინეს კრისტინ ზაგარიამ, რომელმაც 12 ბურთი გაიტანა და ვლადიმერ მიხუტამ (საქართველო) — 11 ბურთი.

იუგოსლავიის გუნდისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრაში ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. პირველი ტაიმი ფრედ, ანგარიშით 10:10 დამთავრდა, მეორე ნახევარში იუგოსლაველთა მთავარმა სნაიპერმა მანასკოვმა რამდენჯერმე წარმატებით დააგვირგვინა პარტნიორთა კომბინაცია და მეორე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 23:18. მანასკოვმა ამჯერად 7 ბურთი გაიტანა, კონსტანტინე დოლგოვმა (სსრ კავშირი-II) კი ხუთჯერ აიღო მეტოქის კარი.

სსრ კავშირის პირველი და პოლონეთის ნაკრებთა მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, პირველ ნახევარში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას (15:15). თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა მეორე ნახევარმაც. თბილისის ტურნირის 15-გზის ჩემპიონმა შეძლო 4 ბურთით დაწინაურება, მაგრამ პოლონელებმა ერთ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა (23:24). სტუმრების მორიგი შეტევა ფინალურმა სირენამ შეაჩერა. მატჩის ბომბარდირები გახდნენ: პოლონელი ადამ დავიძიუკი (6 ბურთი) და ჩვენი იური შევცოვი (5 ბურთი).

მესამე ტურში სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად გაცილებით იოლად. საკმარისია ითქვას, რომ გამარჯვებულებმა იუგოსლავიის ნაკრების კარში მატჩის დასაწყისში ზედიზედ ექვსი მშრალი ბურთი გაიტანეს და ტაიმი 11-ბურთიანი სხვაობით (18:7), მატჩი კი 18 ბურთით (33:15) მოიგეს. მიხეილ ვასილიევმა და ანდრეი ტიუმენცევმა ექვს-ექვსი გოლი გაიტანეს, ხოლო ჩვენი ნაკრების კარი ოთხჯერ აიღო ადემ ვუკასმა.

ამ დღეს საქართველოს გუნდი მესამე მატჩს ატარებდა — ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ხვდებოდა, სამწუხაროდ, ჩვენს ბიჭებს „დენთი“



სსრ კავშირის ახალგაზრდული და საქართველოს ნაკრებთა მატჩი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მხოლოდ რამდენიმე წუთს ეყოთ და მესამედ დამარცხდნენ — 25:31 (9:17). დიმიტრი აბესაძემ 8 ბურთი გაიტანა, კონსტანტინე დოლგოვმა — 6.

გადავხედოთ ტურნირის მთავარ ბომბარდირთა სიას. 29 ბურთით პირველ ადგილზეა პოლონელი ადამ დავიძიუკი, რუმინელ კრისტინ ზაგარიას ანგარიშზეა 23 გოლი, ვლადიმერ მიხუტამ (საქართველო) 20 ბურთი გაიტანა, ლასლავ ძიუბამ (პოლონეთი) და პეპი მანასკოვმა (იუგოსლავია) — 15-15.

ტურნირს 6 ქულით სსრ კავშირის პირველი ნაკრები ლიდერობს, პოლონეთისა და იუგოსლავიის გუნდებს 4-4 ქულა აქვთ, რუმინეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს — 2-2 ქულა, ჩვენს გუნდს ჯერჯერობით ქულები არა აქვს.

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში კიდევ სამი მატჩი გაიმართა. გთავაზობთ შედეგებს: რუმინეთი — სსრ კავშირი-II — 29:28 (13:17), იუგოსლავია — პოლონეთი — 20:29 (10:15), საქართველო — სსრ კავშირი-I — 21:32 (12:13).

დღეს საერთაშორისო ტურნირი მთავრდება. თამაშები 10.00 საათზე დაიწყება, ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირი-II — პოლონეთი, სსრ კავშირი-I — რუმინეთი, საქართველო — იუგოსლავია.

# დიდი თოვლის ხუთი განძისთვის

**სამი წლის შემდეგ ჰიმალაიზე მეორე საბჭოთა ექსპედიცია მოეწყობა. მისი მიზანია სიმაღლით მსოფლიოს მესამე მწვერვალ კანჩენჯანღას (8586 მ) მასივის ტრავერსი. ამის შესახებ საუბარი იყო ექსპედიციის საორგანიზაციო კომიტეტის პირველ სხდომაზე, რომელიც სამიოდე დღის წინ სსრ კავშირის სპორტსახკომში გაიმართა.**

საკდესის ამ ცნობამ შორეული კატმანდუ გამახსენა. 1982 წელს საბჭოთა ჟურნალისტებისა და სპეციალისტთა ჯგუფის წევრები სასტუმრო „ნარიანში“ ვიყავით დაბინავებული. ერთ საღამოს რესტორანში მზით გარუჯული და წვერმოშვებული თხუთმეტი მამაკაცი შემოვიდა. იტალიელები აღმოჩნდნენ. მოიერიშე ჯგუფის თერთმეტი წევრიდან სამს კანჩენჯანღის მწვერვალისთვის მიუღწევია. საბჭოთა მთამსვლელებმაც ის იყო ჯომოლუნგმაზე შედგეს ფეხი და უკვე მომავალ ექსპედიციაზე ფიქრობდნენ. არჩევანი სწორედ კანჩენჯანღაზე შეაჩერეს. ამიტომ იტალიელებს წვრილად ვაამბობინეთ თავიანთი ასვლის შესახებ. მერე ორიოდე ბოთლი შამპანური და ალბომი „ოლიმპიადა-80“ მივართვით, იტალიელებმა კი თავიანთი ავტოგრაფებით დამშვენებული ღია ბარათები გვისახსოვრეს.

ღია ბარათზე კანჩენჯანღის მთელი მასივი იყო აღბეჭდილი. იტალიელთა საჩუქარი ერთგვარად სიმბოლური აღმოჩნდა, უფრო იმიტომაც, რომ ეს ფოტოსურათი მათ თანამემამულეს, ქართველებისთვის კარგად ცნობილ მოღვაწეს ვიტორიო სელას გადაუღია.

ვიტორიო სელამ — მეცნიერმა, მთამსვლელმა, ფოტოხელოვანმა და საზოგადო მოღვაწემ 1880-90-იან წლებში რაჭასა და სვანეთში სამი ექსპედიცია მოაწყო. კანჩენჯანღის სურათი მას 1889 წელს გადაუღია. ნაჩუქარ ფოტოსურათზე აღნიშნული იყო, რომ კანჩენჯანღაზე პირველი ექსპედიცია სწორედ 1889 წელს მოაწყო ინგლისელმა დუგლას ფრეშფილდმა (ქართველი მთამსვლელებისთვის ფრეშფილდის სახელიც კარგადაა ცნობილი. მან სელასთან და სხვებთან ერთად კავკასიონის მწვერვალებზე არა ერთი პირველი ასვლა განახორციელა). ფრეშფილდმა, სელასთან და შვეიცარიელ ქაკო გილარმოსთან ერთად, პირველმა გამოიკვლია ეს რაიონი და ჩრდილო-აღმოსავლეთ ქედამდე (6500 მ) აალწია.

კანჩენჯანღა ჩინეთის, ნეპალისა და სიკჰიმის საზღვრებზე მდებარეობს. იგი ჰიმალაიზე ყველაზე აღმოსავლეთით და ყველაზე სამხრეთითაა აღმართული. მისი ვეება მასივი 17X7 კილომეტრზეა გადაჭიმული.




იტალიელ მთამსვლელთა მიერ ნაჩუქარი ღია ბარათი, რომელზეც აღბეჭდილია ვიტორიო სელას გადაღებული კანჩენჯანღას მასივი.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში არსებობს 14 „რვაათასიანი“ მწვერვალი. სპეციალურ წყაროებში სწორედ ასეა მითითებული, მაგრამ ზოგიერთ მათგანს კიდევ რამდენიმე ისეთი მწვერვალი აქვს, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აჭარბებს. ერთ-ერთი მათგანი კანჩენჯანღაა. მისი მთავარი მწვერვალი 8598 მეტრია. მისმა პირველმა მოიერიშეებმა, ინგლისელთა ექსპედიციის წევრებმა ჯორჯ ბენდმა, ჯო ბრაუნმა, ტონი სტერთერმა (დიდი ბრიტანეთი) და ნორმან ჰარდიმ (ავსტრალია) 1955 წელს უჩვეულოდ დაიპყრეს მწვერვალი.

მწვერვალზე ასვლის ნებართვის მიღება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე თვით ლაშქრობა. სიკჰიმის მოსახლეობისათვის კანჩენჯანღა, ანუ როგორც მას უწოდებენ: დიდი თოვლის ხუთი განძი (მასივის მეხუთე, აღმოსავლეთი მწვერვალის სიმაღლე 7700 მეტრია) წმინდა მთად იყო მიჩნეული. ამიტომ სიკჰიმელები კანჩენჯანღაზე იერიშის ნებას არავის აძლევდნენ. მათი აზრით, ამ მწვერვალზე ადამიანის ფეხის შედგმა წმინდა მთის წაბილწვას ნიშნავდა.

ექსპედიციის ხელმძღვანელის ჩარლზ ევანსისა და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მოლაპარაკების მერე კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს: თუ ინგლისელები მწვერვალს მიაღწევდნენ, ისინი უმაღლეს წერტილზე ფეხს არ დადგამდნენ და არ შელახავდნენ სიკჰიმელთა რელიგიურ გრძნობებს.

ინგლისელებმა პირობა შეასრულეს. მათ ასვლა შეწყვიტეს მაშინ, როდესაც კანჩენჯაღას უმაღლეს წერტილამდე ჰორიზონტალურად 6, ხოლო სიმაღლეში 1,5 მეტრი დარჩათ დასაძლევი. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ეს ინგლისელთა ფრიად ლამაზი ჟესტი იყო.

კანჩენჯაღის დასავლეთ მწვერვალზე (8433 მ), რომელიც დიდხანს დამოუკიდებელ მეთხუთმეტე „რვაათასიან“ მწვრთნელად მიაჩნდათ, მხოლოდ 1973 წელს ავიდნენ იაპონელთა ექსპედიციის (ხელმძღვანელი ხარეო ხუგუჩი) წევრები ტაკეო მატუსოდა და იუტაგა აგეტა. დაშვებისას მატუსოდას, რომელიც თოკში არ იყო ჩაბმული, ქვა მოხვდა, 50 მეტრზე გადავარდა და დაიღუპა.

რაც შეეხება დანარჩენ ორ მწვერვალს — სამხრეთ (8490) და საშუალედო პიკებს (8496), მთაზე ასვლის შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები არა გვაქვს. ვიცით ის, რომ რამდენიმე წლის წინ ეს მწვერვალები ფეხდაუდგმელი იყო. 1975 წელს ავსტრიელმა და დასავლეთგერმანელმა მთამსვლელებმა სცადეს დასავლეთისა და სამხრეთის მწვერვალების ტრავერსი, მაგრამ მხოლოდ დასავლეთის პიკზე სამჯერ ასვლით „დაკმაყოფილდნენ“. მწვერვალზე ექსპედიციის ცხრავე წევრი ავიდა.

ორი წლის წინათ იაპონელებმა კანჩენჯანღის ოთხივე „რვაათასიანი“ მწვერვალის ტრავერსის განხორციელება გადაწყვიტეს, მაგრამ მხოლოდ ორი დაიპყრეს.

საბჭოთა მთამსვლელებს სწორედ ამ ოთხი მწვერვალის ტრავერსი აქვთ განზრახული. ასეთი ტრავერსი, ბუნებრივია, 8000 მეტრის ფარგლებში ძორდაუშვებლად დიდი ხნით ყოფნას მოითხოვს. სამწუხაროდ, ამის გამოცდილება არც ერთ ჩვენს ალპინისტს არ აქვს. ასეთ სიმაღლეზე მხოლოდ სამიოთხი დღით ყოფილან მომავალი ექსპედიციის წევრობის კანდიდატები, ჯომოლუნგმას დამპყრობნი: სერგი ბერშოვი, მიხეილ ტურკევიჩი, ვლადიმერ ბადირერდინი, ვალერი ხრიშატი და ყაზბეკ ვალიევი. მომავალი ექსპედიციისთვის შერჩეულია 73 მთამსვლელი, მათ შორის ქალებიც, ნეპალში კი 20 ალპინისტი უნდა გაემგზავროს. კიდევ ათ ადგილს ექსპედიციის ხელმძღვანელები დაიკავებენ. გუნდის საბოლოო შემადგენლობა 1988 წლის სეზონის ბოლოს გაირკვევა. ვარაუდობენ, რომ ექსპედიციაში რამდენიმე ქალსაც შეიყვანენ.

მეორე საბჭოთა ექსპედიცია 5500 მეტრის სიმაღლეზე დაბანაკდება. ამ ექსპედიციის დიდი სირთულის გამო მისი ხელმძღვანელები კიდევ ერთი საბაზო ბანაკის (7200-7800 მ) მოწყობას ვარაუდობენ. ისინი ფიქრობენ, რომ ტრავერსის საბოლოო მარშრუტის დადგენას გაისად, კანჩენჯანღის რაიონის დაზვერვის შემდეგ შეძლებენ..

**ავთანდილ გურასაშვილი.**

ელვა-ინფორმაცია

## პრიზები [illegible] და [illegible] მოთამაშეებს

**ყოველი** საფეხბურთო სეზონის დასასრულს ტრადიციისამებრ ჩვენი ქვეყნის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ პრიზებს გადასცემენ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებსა და ცალკეულ მოთამაშეებს, რომლებმაც განვლილ სეზონში გამოიჩინეს თავი.

ყველაზე მეტი პრიზი მიიღო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **მოსკოვის „დინამომ“** — 5. ორი მათგანი — „პროგრესის თასი“ და „აგრესიული სტუმარი“ დაწესებულია უკრაინის გამოცემების „რაბოჩაია გაზეტას“ და „კომსომოლსკოე ზნამიას“ მიერ. სამი ინდივიდუალური პრიზი მიიღო მოსკოვის „დინამოს“ 24 წლის მოთამაშემ ალექსანდრე ბოროდიუკმა: გაზეთ „ტრუდისა“ — „საუკეთესო ბომბარდირს“ (21 გოლი), ჟურნალ „სოვეტსკი ვოინისა“ — „შეტევის რაინდს“ „ჰეთ-თრიკების“ ყველაზე მეტი რაოდენობისთვის (3) და გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვასი“, როგორც დედაქალაქის გუნდების საუკეთესო ბომბარდირს.

ოთხი პრიზის მფლობელი გახდა ბრინჯაოს პრიზიორი — **მოსკოვის „სპარტაკი“**: ყოველკვირეული გამოშვება „ფუტბოლ-ჰოკეისა“ დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩის მოგებისთვის (6 ასეთი გამარჯვება), ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა ჯამში საუკეთესო შედეგისთვის (სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი), კიევის ჟურნალ „სტარტისა“ გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის და სსრ კავშირის სპორტსახკომისა დუბლიორთა შორის საუკეთესო მაჩვენებლებისთვის.

სსრ კავშირის ჩემპიონებმა — **კიევის დინამოელებმა** 3 პრიზი მოიპოვეს: საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა ყველაზე შედეგიანი გუნდისთვის (გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი), გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიისა“ ჩემპიონატის პირველ წრეში გამარჯვებისთვის — „პირველი სიმაღლე“, აგრეთვე, ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზი საუკეთესო მაკარეს, რომელიც პირველად მიენიჭა ვიქტორ ჩანოვს.

თითო პრიზი მოიპოვეს **მინსკის „დინამომ“** — გაზეთ „სპორტივნაია მოსკვასი“ — „ავტორიტეტთა რისხვა“, **დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“** — სამართლიანი თამაშის პრიზი, რომელიც დაწესებულია ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის“ მიერ და **დონეცკის „შახტიორმა“** — პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის პრიზი „გუნდთან ერთად“.

სპეციალური პრიზი მიიღო **თბილისის „დინამომაც“** „გამარჯვებისათვის სწრაფვისთვის“, რომელიც დაწესებულია გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მიერ.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 7 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 49-ე ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 782 826 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, 5 ციფრის გამოცნობისთვის (46 ბარათი) მოგება 1488 მანეთია, 4-ისთვის (1955) — 36, სამისთვის (32003) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 6 525 482 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (4491) — 147, სამისთვის (155 231) — 7.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„ზართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07761